



**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გადაწყვეტილება**

17 დეკემბერი, 2018 წელი

ქ. თბილისი

მოსამართლე -- -- მიმართ  
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**დისციპლინური საქმე №48/18-4**

-- -- (წარმომადგენელი) 2018 წლის 16 თებერვლის №48 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 25 ივლისის №48/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

-- -- 2018 წლის 16 თებერვალს წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნა, რომ მოსამართლე -- -- არ იცავს კონსტიტუციას და კანონს, სუბიექტურად იხილავს მტკიცებულებებს და ამის საფუძველზე იღებს უკანონო გადაწყვეტილებებს.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1. 2016 წლის 29 მარტს, -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, მხარეთა შორის 2011 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების 2015 წლის 1 აგვისტოდან შეწყვეტილად აღიარების მოთხოვნით (მოსამართლე -- --).**

2016 წლის 8 აპრილს -- -- სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი.

2016 წლის 27 აპრილიდან, სამოქალაქო საქმე განსახილველად (მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო) გადაეცა მოსამართლე -- --. შემდგომ განტვირთვის მიზნით გადაეცა მოსამართლე -- --, რომელმაც საქმე 2017 წლის 17 ივნისიდან დაუბრუნდა კვლავ საქმის განმხილველ მოსამართლეს - - -.

2017 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსამართლე -- --, -- -- სარჩელი დააკმაყოფილა. 2015 წლის 1 აგვისტოდან შეწყვეტილად იქნა აღიარებული -- -- და -- -- შორის 2011 წლის 1 აგვისტოს დადებული ხელშეკრულება.

-- -- აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოში, რომელიც მოსამართლე -- -- მიერ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2018 წლის 21 თებერვალს გამართულ სხდომაზე საქმის განმხილველი კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობა: თავმჯდომარე -- -- და მოსამართლე -- -- აცილებულ იქნენ მოცემული საქმის განხილვისგან. სამოქალაქო საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- -- (საქმის განხილვა ამ ეტაპზე მიმდინარეობს -- სააპელაციო სასამართლოში).

**2.2. 2015 წლის 1 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ და მოითხოვა ბინის ქირის საფასურის 350 ლარის ყოველთვიურად გადახდა 2015 წლის აგვისტოდან - ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე (მოსამართლე -- --).**

საქმე 2016 წლის 4 იანვრიდან განსახილველად (მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო) გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რომელიც -- -- მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

-- სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ -- --, -- -- და -- -- შემადგენლობით 2017 წლის 21 აპრილის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილა. შესაბამისად უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება.

-- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის განჩინება.

### **3.საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართლწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება...“ ამავე კოდექსის 385-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად..“ „სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი...“ --- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2017 წლის 21 აპრილის განჩინების მიღებისას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა -- -- სააპელაციო საჩივარი, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. ამდენად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

**გადაწყვიტა:**

დისციპლინურ საქმეზე №48/18-4 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი**